ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ხ ო ნ ი ს მ უ ნ ი ც ი პ ა ლ ი ტ ე ტ ი ს მ ე რ ი

ბრძანება:**ბ60.60213441**

თარიღი:**10/12/2021**

ხონის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის სოციალური ჯგუფების, გენდერულ და ახალგაზრდობის ინტერესებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებზე მორგებული ურბანული გარემოს უზრუნველყოფის შესახებ

„გენდერული თანასწორობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლისა და საქართველოს პარლამენტის 2020 წ. 17 ივლისის დადგენილებით დამტკიცებული „2020-2030 წლებისათვის საქართველოს ახალგაზრდული პოლიტიკის კონცეფციით“ განსაზღვრული მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებისა და ვალდებულებიდან გამომდინარე, ურბანული განვითარების მიმართულებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა სოციალური ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობისთვის, „ხონის მუნიციპალიტეტის ღია მმართველობის პარტნიორობის (OGP) ადგილობრივი სამოქმედო გეგმა“-ის დამტკიცების შესახებ, ხონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 აგვისტოს №68 განკარგულების, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ა“,„ა.ე“ და „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 62-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 52-ე მუხლის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 57-ე მუხლის, 180-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე:

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაევალოს მერის პირველ მოადგილეს (გერასიმე მჟავანაძე) და ხონის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსს (ილია ყუფარაძე) ხონის მუნიციპალიტეტის ურბანული გარემოს ინკლუზიურობის, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის, ახალგაზრდების ინტერესების, ინფრასტრუქტურის შშმ პირების საჭიროებებთან ადაპტირების, სატრანსპორტო საშუალებების, საზოგადოებრივი სივრცეებისა და სერვისების ხელმისაწვდომობისათვის ხელშემწყობი პროექტების განსაზღვრა და მათი დაგეგმვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოების ჩართულობის უზრუნველყოფა და მათთან წინასწარი კონსულტაციების ჩატარება.

2. ეთხოვოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოებს აქტიური მონაწილეობა

მიიღონ ურბანული განვითარების მიმართულებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განიხილოს და წარმოადგინოს საკუთარი წინადადებები და რეკომენდაციები გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სამტრედიის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სამტრედია, ძმები ნინუების ქ №1).

4. ბრძანება ძალაშია დადგენილი წესით გამოქვეყნებისთანავე.

ლადო ჯურხაძე

ხონის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი